ოჯახში ძალადობის საქმეებზე მტკიცებულებათა შეფასების პრობლემატიკა და სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების ეფექტურობა

ანა ინაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ბესიკ ქვარცხავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წ

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ინაძე

2023 წელი

აბსტრაქტი

საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონმდებლობის ფორმირება და მისი დახვეწა. მსხვერპლის უფლებების, სიცოცხლისა და უსაფრთხოების დაცვა, ამოსავალ წერტილად იქცა, რაც ძალადობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარებას გულისხმობს.

კვლევის მიზანია, ერთის მხრივ, ოჯახში ძალადობის საქმეებზე მტკიცებულებებთან მიმართებით იმ თავისებურებების განხილვა, რაც შემდგომ ბრალდების მხარეს ურთულებს მოძალადის მსჯავრდებას და მართლმსაჯულების აღსრულებას, მეორეს მხრივ, სამართლებრივი ბერკეტების მოქმედების ეფექტურობის ანალიზი და რამდენად იცავს იგი მსხვერპლს მეორეული ვიქტიმიზაციისგან.

არსებული პრობლემების გამოსაკვლევად ნაშრომში გამოყენებული იყო ისტორიულ-სამართლებრივი, დოქტრინალური, აღწერით/მიმოხილვითი, შეფასებითი და სისტემური მეთოდი. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ოჯახში ძალადობის საქმეებზე მტკიცებულებათა გამოკვლევის პრობლემატიკის შეფასება და, ამასთან, სამართლებრივი ბერკეტების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ მსჯელობა.

საკვანძო სიტყვები: ოჯახში ძალადობა; მტკიცებულება; სისხლისსამართლებრივი დევნა, შემაკავებელი და დამცავი ორდერები.

Abstract

Georgia is actively developing and improving legislation against domestic violence. Protection of victim's rights, life and safety has become the starting point, which implies the implementation of zero tolerance policy towards violence.

The aim of the study is, on the one hand, to consider the peculiarities in relation to the evidence in domestic violence cases, which further makes it difficult for the prosecution to convict the abuser and administer justice, on the other hand, to analyze the effectiveness of legal leverage and how it protects the victim from secondary victimization.

Historical-legal, doctrinal, descriptive/review, evaluative and systematic methods were used in the work to investigate the existing problems. Using these methods, it was possible to assess the problems of examining evidence in domestic violence cases and, at the same time, discuss the pros and cons of legal leverage.

Keywords: domestic violence; evidence; criminal prosecution, restraining and protective orders